

სოლ. დოდამვილი =

დე

= ნიკ. გარათამვილი


„ფარული საზოგადოების“ წინაშე

და

ნიკ. გარათამვილის კოეზის იდეის აღმა-
მინაბა კართულ მწერლობაში.



გ. ჭიჭირების.



ფასი 2 განვითი.



ଲୋକ ପରିମା ପତ୍ରିକା

ଶବ୍ଦବିଜ୍ଞାନକାଳୀନ



სოლ. დოდაზვილი და ნიკ. გარათაზვილი.

დიდათ საინტერესო არის ვიცოდეთ ის გარემოება, თუ რა შედეგი მოჰყვა სოლ. დოდაზვილის მიერ დაარსებულ „ფარული საზოგადოების“ არსებობის საქმეს და მუშავობას. ამის ახსნას მარტოთ ოფიციალური ცნობები და „კავკასიის აქტები“ არ გვასწავლის. ამის შესახებ ბევრი რამ ცნობები ჩვენში ზეპირათაც არის დარჩენილი; ზოგი ამათგანი, ჩვენ 1882 წ. მომსწრე პირთაგან შევკრიბეთ.

მოგვყავს აქ ყველა ის ცნობები, რაცა „ფარულ საზოგადოების“ თანამედროვე პირთაგან მოგვისმენია.

სოლომონ დოდაზვილი იყო უდიდესი მამულიშვილი, უდიდესი ქართველი მოქალაქე.

მას თავისი სამშობლო საქართველო უყვარდა, თავის თავზედ უფრო მეტა და გატაცებით.

მას დიდათ ენატრებოდა საქართველოს ერის განათლება, ამაღლება და დაწინაურება ისე, როგორც საქართველო ოდისმე ყოფილა კულტურულად დაწინაურებული, თუნდ „ოქროს საუკუნეში“. ამ ნატერის შესახებ ზეპირ გადმოცემას ცხადათ ასაბუთებს თვით სოლ. დოდაზვილის მიერ დაბეჭდილი წიგნი, რუსულს ენაზედ, სახელდობრ: — „მოკლე სახელმძღვანელო ლოლიკისა“ მისგან დაწერილი უნივერსიტეტში სწავლის დამთავრების დროს, დისერტაციათ, რომელ წიგნიც იმავე დროს, პეტერბურგის, ცალკე გამოსცა.

ამ წიგნს მიუძღვის წინასიტყვაობა სოლ. დოდაზვილის, ამითი იგი მიმართავს რუსეთის მონარქს და დიდის თავ-მოწონებით აუწერს ქართველი ერის განვლილ დროს ქართველი ერის დაწინაურებულ ხანას, განათლებას, კულტურას, ფილოსოფიას, მეცნიერებას და სხვა საქმეთა ცოდნას.

აველრებს, რომ თქვენს ხელში, ამ ერს, უნდა დაუბრუნდენ თავისი დადებული წარსული, თავისი განვითარების სამაგიერო დიდება, თქვენს ხელში უნდა აღორძინდეს ახალი საქართველო, მეცნიერულათ, ფილოსოფიურათ და კულტურულთაო. სოლ. დოდაშვილს ამ ქადაგების შესახებ ცილს ვერავინ დაწამებს, მას საყალბეს ვერავინ ჩამოართმევს, მისი გონება და გული საქართველოს ერის სიყვარულით განსვეტაკებულია, ქართველთა ამაღლებით, დაწინაურებით და სახელოვნებით, ან კარათ ბრწყინვალებს, ამ ბრწყინვალების ცხალი საბუთია შემდეგი:

ჩვენ კარგათ ვიცით, რომ XIX საუკუნის დამდეგიდან, საქართველოდან ყველა ბატონიშვილები რუსეთში იქმნენ გადასახლებულნი, მათი რიცხვი მცირე არ იყო. სოლ. დოდაშვილის პეტროგრადში სწავლის დროს, ჯერ კიდევ ბატონიშვილების რიცხვი ერთობ დიდი იყო, სხვათაშორის, ამ დროს, სცხოვრობდა ერთი ბატონიშვილი ბაგრატი, ამას ჰყანდა ერთი პატარა ვაჟი, რომელსაც სახელათ დავითი ეწოდებოდა. ამ პატარა დავითს კარგათ იცნობდა სოლ. დოდაშვილი.

სოლ დოდაშვილი ხშირად დადიოდა ბატონიშვილის ოჯახში, ახალგაზრდა ყმაწვილებს აგროვებდა და მათ უქადაგებდა საქართველოს სიყვარულს, ქართველი ერის ამაღლებას ძველ კულტურას და ლირისებას. ერთხელ პატარა ბატონიშვილს დავითს-ასეთის სიტყვით მიმართავს:

ბატონიშვილებს ეს ჯერეთ აღუწერს საქართველოს ერის ისტორიას, ქართველი ერის გონებით ამაღლებას, დაწინაურებას, მეცნიერულათ, ფილოსოფიურათ, ხელოვნურათ და სხვათა. მერე აღწერს არაბთაგან საქართველოს დაპყრობას, შემდეგ დროს, არაბთაგან განთავისუფლება!. მერე კითხვას აძლევს ასე:

პატარა დავით: მერე, რცით ვინ გაანთავისუფლა არაბები-საგან ჩვენი საყვარელი საქართველო? შენმა თანამოსახელე დავითმა. რომელსაც შემდეგ ქართველებმა დავითი აღმაშენებელი უწოდეს.

ის ადრე ჩვენთან იყო, ქართველებთან, ეხლა კი ის ღმერთ-თან არის.

მაში იცოცხლე, გაიზარდე და იბედნიერე, პატარა და შერმედ ღმერთმა გაგზარდოს დავითის მსგავსი კაცი, მოგცეს ისეთი ცოდნა და ძალა, რომ შენ შენის ნიჭით, დახსნა საქართველო დავითის მსგავსათ, ქართველ ერს დაუბრუნო თავისი შესაფერი დიდებული დრო და ხანა, ის ღირსება და სწავლა-ზრდილობა, რითაც ჩვენი მამა-პაპები უხვათ იყვნენ დაჯილდოებულნი.“

რაც ზეპიონ შემიტყვია ს. ღოდაშვილის მამულისშვილობის შესახებ, ის ცხადია ამ პატარა სიტყვიდანაც, კარგათ სჩანს მისი გული, რომ საქართველოს სიყვარულით აღვისილი იყო, ეს ცხადათ სჩანს თვით სოლ. ღოდაშვილის ერთის ლექსითაც, რომელსაც სახელათ „პასუხი“ აწერია და მეორეც სიტყვა არის, რომელიც ასე იწყება, „საყვარელო შამულო“ უკეთ ამაგბით სოლ. ღოდოშვილის გულიდან და ბაგიდან იფრქვევა საქართველოს სიყვარულის ცნება, ქართველი ერთის დაწინაურების და ამაღლების ნატყრა. იგი ცდილობს რუსეთში ყოფნის დროს, აგროვებს ბატონიშვილებს ერთათ, უმართავს მათ ლაპარაკს და ივალებს თვალის გახილებას, დაწინაურებას და ცდას მასზედ, რომ ისინი დაბრუნებულ იქნენ საქართველოში საცხოვრებლათ.

ამის შეცალინეობა არ იზლუდება მარტოთ მამულისშვილობით, იგი პეტროგრადში ხალისით ეწაფება დეკაბრისტებთა ცნობას, იგი ზოგს უნივერსიტეტის სტუდენტთა შორის პპოებს მეგობრებს, ზოგი პროფესორთა შორისაც, და ზოგიც უნივერსიტეტის გარეშე სევა და სხვა წრებში. ესეც პირველი მაგალითია ქართველის კაცისაგან დეკაბრისტებთა გარშემო.

ამავე დროს, იგი არც ევროპიულ ფილოსოფიურ მწერლობას სტოებს უყურადღებთ, უნივერსიტეტში საგნათ იღებს და სწავლობს ლოდიკას და ფსიხოლოგისა, რაც იმ დროს კვალათ ითვლება მეტათ რთულ სამეცნიერო საგნათ ყოველს ცდასა და შრომაში სოლ. ღოდაშვილს დიდათ ახალისებს ივანე ელა შვილი, „კალმასობის“ ავტორი. ეს ბერი გულმდუღარეთ შესტირის ს. ღოდაშვილს და ავალებს. რომ შენ უნივერსიტეტში სწავლის შესრულების შემდეგ დაბრუნდი შენს საწმობლოში, შენს საქართველოში, იქ შენ უნდა

გახსნა ქართული სტამბა, გამოსკე ქართული გაზეთ-უურნალი, გახსნათ თბილისში სასწავლებელი სკოლა, ასევე სიღნალში, ეცადოთ რომ იქით, ინგილოებში ქართული სწავლა შეიტანოთ და ისინი როგორმე თვის ცნობიერებაზედ მოვიდნენ. შეიგნონ მათ, რომ იგინი ქართველები არიან.

ივანე ხელაშვილი ამისთვის ს. დოდაშვილს აძლევს 6000 გ. რომ ამით სტამბა გახსნას თფილისში. ს. დოდაშვილი სწავლას ამთავრებს, ნაცნობთა რჩევით, იქვე ცოლათ ირთავს რუსის ქალს, ხოლ მალე ბრუნდება საქართველოში, თფილისში სახლდება. აქ ადგენს იმ დროის ქართველებში სხვადასხვა საამხანაგო წრეებს, იწყებს ქადაგებას და ცდას იმის შესახებ, რომ ქართველი ერთი როგორმე გამოათხიზლოს და მამულისშვილობით აღაფრთოვანოს.

ბოროტმა რუსის მთავრობაშ სოლ. დადიშვილის მოქმედებას შერის თვალით შეხედა, ამიტომ სოლ. დოდაშვილი თიანეთში გადიყვანეს მაზრის უფროსის თანაშემწერ, მთავრობას სურდა, რომ ეს დიდებული ადამიანი აქ მოეკლათ, მოკვლა ვერ მოახერხეს, კლავშიკი დასჭრეს, ამის მიზეზით სოლ თფილისში გადმოსახლდა და თავის განზრახვას ხელი სოპკიდა.

სოლომონ დადიშვილი კვალით იწყებს ქადაგებას, ამას მედგრათ მისდევს მით უფრო, რადგან იმ დროის ქართველები არიან დაძინებულნი და გათახსირებულნი. ისინი მისდევენ მარტო ქეიფს, სმას, ჭამას, კრივს, თამაშს, მამლების გაფლანგვას, გლეხების შეწუხებას და კერძოთ თავისი ოჯახის დაღუპვას და საერთოთ საქართველოს ვნებას, აი რას ახერხებს ამ დროს ს. დოდაშვილი.

1828 წ. ხსნის სტამბას და იწყებს ქართული წიგნების გამოცემას.

1829 წ. იწყებს კვირის ქართული გაზეთის „თფილისის უწყების“ გამოცემა.

1830 წ. გამოსკე თფილისში თავისაგან შედგენილი „ქართული გრამატიკა“ სახემძღვანელოდ დაწერილი.

1831 წ. ქართულს ენაზედ დაბეჭდა საიდუმლოთ საქართველოს განთავისუფლების პროკლამაცია, ამ საქმეში მას ეხმარებოდა ფილადელფოს კიკნაძე, ამაზედ ნახეთ ფილკიკნაძის ცხოვრებაში.

1832 წ. იწყებს ორ კვირეული ქართული უურნალის გამოცემას.

ბეჭდაგს სხვა და სხვა ქართულ წიგნებს და საჭირო ფურცლებს.

ს. დოდაშვილი დიდი ზეგავლენას ახდენს იმ ღრის ქართველს მოწაფეებზე, მის წრეებში დაიარებიან ნ. ბარათაშვილი, დ. ყიფიანი, გრ. ორბელიანი, ვ. ორბელიანი, ალექსანდრე ორბელიანი და ბევრიც სხვნი, მათ უნერევს ყველას მამულის შვილობის და საქართველოს აღორძინების სიყვარულს, მათ ყოველ კრებაზე ს. დოდოშველი ლაპარაკობს მარტო საქართველოს შესახებ, ქართველების დაწინაურებასა და ამაღლებაზე.

ნელნელა ქართველებში იწყება მამულის შვილობის აღორძინების დასაწყისი და ქართული მწერლობის და ისტორიის სიყვარული. ამ დროს გაჩნდებიან ისეთი პირნიც, რომელნიც საქართველოს შესახებ იწყებენ წერას და ლექსებით გოდებასაც. ასეთ ჯგუფს ეკუთვნის ნ. ბარათაშვილი, ალჩიქოვანი, ნ. ბარათაშვილის კარგი ამხანაგი და კარგი მელექსეც და ორიც სხვა ასეთნი.

1832 წ. ასე ძნელით მიღიოდა ქართველთა სიკოცხლის დღენი და აღარსად მთელს საქართველოში აღარაფერი ისმოდა. ამის გამო ბევრი ქართველი იყო გულ დათუთქული და დალონებული. სიქმე ისე მოეწყო და ქართველნი ისე მოშორდნენ საქართველოს სიკოცლის სხვით, რომ მის გამო, მთელ ქართველს თითქმის მკვდრის ზეწარი გადაეფარა და დაპირებულდა ყველაფერი ქართველების.

1846 წ. საქართველოს მთავარ მართველათ დაინიშნა თავ. ვორონცოვი. ამის მოსვლის შემდეგ ქართველებმა დაიწყეს ცდა, თხოვნა, და როგორც იქმნა, 1851 წ. ბოლოს მიიღეს ნებართვა, რომ თფილისში გამოცემა დაეწყოთ ქართულს ენაზედ თვიურ უურნალ „ცისკარის“ ამ ნებართვის შესახებ ღიღი შრომა მიუწვდის თურმე დიმ. ყიფიანს, პოეტს ალ. ქავეკაძეს და სხვათაც, ასე მიამბო პოეტმა ვახტანგ ორბელიანმა. სთვა პოეტმა, რომ ამ პირებმა დაარწმუნეს ვორონცოვი, რომ ქართულის უურნალის გიმოცემა არაფერი საშიშია და მხოლოდ ამ დარწმუნების შემდეგ გვეღირსა ნებართვის აღება, ქართველ ენაზედ „ცისკარი“ გამოგვეცაო.

ასეთი შედეგი მოჰყვა 1832 წ. „ფარული საზოგადოების“ არსებობის საქმეს.

გახტანგ ორბელიანმა გადმომცა შემდეგი: პოეტმა ალექსანდრე ჭავჭავაძემ პირველ შეხვედრის დროსვე, კორონცოვს, ფრანგულს ენაზედ სიტყვა უთხრა და მასთან შესჩივლა, რომ საქართველოში სოლ. დოდაშვილის დანაშაულობის გამო, ქართული წიგნის ბეჭდვის ნებას არ გვაძლევენო. იმედი გვაქვს, რომ თქვენ დაგვეხმარებით, და გვიშველით, რომ ჩვენ ნება მოგვეცეს ქართულს ენაზედ წიგნების ბეჭდვისათ. ვორონცოვმა პირობა და იმედი მისცაო.

II

ნ. ბარათაშვილის პოეზიის მიმართულებას მაშინ უფრო დაედება ფასი, როცა ჩვენ გავიცნობთ მის აღზრდის და ცხოვრების ვითარებას.

1801 წ. შედეგ. რაკი საქართველოს სამეფოს დასასრული მოხდა, ქართველების უმეტესობის ნაწილი უსაქმოდ დარჩა და მიეცა ქეიფებს, ლოთობას, თამაშს და სხვა.

უბედურება სწორედ ის იყო, რომ ამ თამაშობაში აგებდნენ ყოველივეს. ამ გარემოებას კარგად სახავს ვახტანგ ორბელიანი:

„ზოგთა თვისი ქონება ბითურ ცხრაში წააგეს.

და თავისი ცოლ-შვილი მშიერ წყურვალ დააგდეს.“

პოეტმა გადმომცა ერთხელ ასე: ნეტავი თქვენ, რომ არ მოესწარით იმ უბედურ და საძაგელ დღეებს, როცა ქართველნი თავიანთ თავს, ცოლშვილს და რამა-პაპეულს მამულებსაც კი ღუპავდენ და კარტშიაც კი აგებდენ. ოო, კარგო, რომ თქვენ არ მოესწარით მას. არ ნახეთ მაშინდელი ქართველთ წამხდარი ბაზაზხანური ცხოვრება. მის გაშოც ამბობს იგივ ვ. ორბელიანი, რომ

„მე არ მიყვარს კილო ბაზაზხანური,

კინტოთ კილო, კილო შუა-ბაზრული,

ამ კილოთი რა ვიმღერო, პოეტო,

თუ რა ღვინო, დიპლიპიტო და კინტო“.

რუსეთის მონარქიის ბოროტებით ქართველის კაცის გონებიდამ დაიფანტა ყოველივე გონიერების მისწრაფება, ქართველი გახდა უმეცრების და ქარაფშუტობის მიმდევარი, სხვა ყოველივე მოისპო იმ დროის ქართველობაში. ჭამა-სმი-

სა, ქეიფის და თამაშობის შეტი სხვას აღარაფერზედ ფიქ-
რობდნენ. ეს იყო ქართველთ საგონებელი ვარამი და ყველა
მასზედ ფიქრობდა და სწუხდა, თუ თავის სტუმრებს როგორ
დახვედროდა, რუსის მონარქიაც ამას ნატრობდა.

ჩვენს ყოფას ყოფა არ ერქმეოდა, ვინაიდგან ქართველთ
ასეთ დაღუპვის საჭმეს და ულაზათობას, ყოველს ოჯახში
თავის შემქებელი მომძერალი- მეშაირენიც ჰყვანდა, უფრო
კი მებაიათენი, რომელნიც ქართველთა ქარაფშუტობას მხო-
ლოდ მათი პურმარილობით ჰქისნიდენ და პირფერობით აქებ-
დენ და ოვალებს უხვევდენ მათ. ასეთ სპარსულ ბაიათების
კილოთი მომძერალი იყვნენ თბილისის მოქალაქენი, ცნო-
ბილი უაზრო ბაიათების მთხვევლნი, რომელთა შორის
ათასში ერთხელ მოქეიფე თავადი შვილებიც ერეოდნენ.

1805 წლების შემდეგ, ქართველნი ბაითებით, ცუდი
ქეიფებით და ლოთობით თუ არ შეყობით ქართველი, ხალხი
ჰკარგავს შრომის უნარს, კეთილ გონიერება ვიღას ახსოვ-
და, წერა ქველებურად? თუ ვინმე რასმეს სწერდა, ისიც სა-
არშიყოდ, დანარჩენი ყოველივე ქართველისათვის მკვდარი
იყო და მიუხვედრი.

ასეთ დროს დაიბადა ნ: ბარათა შვილი. იგი გაიზარდა
ამ უდარდელობისა და ქეიფის სკოლაში. ასეთ წრეს შაზე უფრო
დიდი გავლენა ჰქონდა, ვიდრე „კეთილშობილთა სკოლას“,
სადაც იგი მიაბარეს მშობლებმა. შეორე მხრით არც ამ სა-
სწავლებულში და არც სემინარიაში ქართული ენა ჰაქანე-
ბად არ ისმოდა, ორთავეს მიზანი იყო ქართველი ახალგაზ-
ლობის გადაგვარება, მოშხამეა და მოკვლა. აქ შესული მო-
წაფეები ისე იწვროდნებოდნენ, რომ საბოლოოდ, მათ ქართ-
ველისა აღარაფერი არა ეცხოთრა. რუსული ენის და
წერა-კითხვის შესწავლის, გარდა სხვა ყველაფერი მათში
მკვდარი იყო, მოწაფენიც ისევე იყვნენ გატაცებულნი ლო-
თობა და ქეიფობისაგან, როგორც მათი ნათესავები, ამიტო-
მაც მაშინდელი მოწაფენი კვირაობით მონაწილეობას იღებ-
დნენ კრიფში, ჭიდაობაში და მასთან ორთაჭალის ბალებშიაც
ხშირად სეირნობდენ საქეიფოდ.

ნ. ბარათა შვილის ნამხანაგარშა, სკოლის სუამზედ ერთად
შეოფა, ლუკა ისარლოვმა, ადრინდელი ქართული ენის ცენ-
ზორშა მიამო, რომ 1830 წლებში, მე არშიყულ ლექსებს
მიტომ ვწერდი, ვინაიდგან მაშინ ასეთი ლექსები იქმნოდა

და იწერებოდათ. პატრიოტობა მერე შემოვიდა ჩვენშიო, ჩვენი დროის პატრიოტობა ქეიფობა იყო და არშიყობათ. ასევე მიამბო ერთხელ პოეტ ვახტანგ ორბელიანშა, რომ ჩვენი ახალგაზრდობის დროის ლტოლვა და მისწრაფება მხოლოდ არშიყობის გარშემო დაფრენდა და ქეიფებს ელტოდათ.

ასე ყოფილა მაშინ და თვით ნ. ბარათაშვილსაც არშიყულის ლექსებით დაუწყვია მწერლობა, ამის ნიმუში არის მისი ლექსი: — „მადლი შენს გამჩენს, ლამაზო“ და სხვანი. ეს გარემოება პოეტისა შენიშვნული აქვს პატრიოტებულ მწერალ მოღვაწეს ნ. ნიკოლაძესაც, რომლის შენიშვნაც პოეტის ცხოვრების შესახებ 1875 წ. თბილისის რესულ გაზეთ „თბილისის ცენტრიკუში“ დაისტამბა. ნ. ნიკოლაძის სიტყვით, პოეტს ასე და ამ გვარად, თავის წინაპართა მიმართულების თანახმად არშიყობით დაუწყვია ლექსების წერა.

ჩვენ კარგად ვიცით ის გარემოებაც, რომ 1801 წლიდამ მოყოლებული ნიკ. ბარათაშვილის მამა მელიტონი, დიდი მეპურმარილე კაცი იყო, მის ოჯახში წვეულება დიდად უყვარდათ, მის სახლში დღე მუდამ თონეში პური ცხვებოდა; ორი ყმა კაცი გლეხი მიჩენილი ჰყავდა ყოველ დღე ზამთარ-ზაფხულს თევზი ეჭირნა მტკვარში. ესეთი დადებითი ხასიათი მელიტონისა იყო ის, რომ სტუმრებად იწვევდა წარჩინებულ პირთ, როგორიც იყო გრიგოლ ორბელიანი და სხვა მსწავლულნი. მას მეტად უყვარდა სუფრაზედ მათი მიწვევა და მათთან საუბარი. მისთვის სტუმრები სულ ერთი იყო, ვინც უნდა ყოფილიყოს. ქართველი, რუსი, სომები, თათარი და სხვანი, ოლონდ კი ნასწავლი ყოფილიყოს და ლაპარაკი შესძლებოდა, თორემ მელიტონი ყველას სიამოვნებით ჰპატიურდა. საყარელ სტუმრთა შორის ხშირად ნახავდით თბილისში მცხოვრებ პოლონელ პროფესორებსაც, რომელთაც ნ. ბარათაშვილიც გაეცნო, ეს ძვირფასი სტუმრები მელიტონის ოჯახში მოჰყავდა სოლომონ ლოდაშვილს, ძრიელ ხშირად თვით სოლომონიც მოდიოდა მელიტონის სახლში და სადილზედ დროს ატარებდა, მას კაი ლაპარაკი და კამათი უხდებოდა პოლონელ პროფესორებთან. პოლონელი პროფესორები საქართველოში დასასჯელად ყოფილიან გადმოსახლებული. თბილისში მათ მოერეკებოდნენ. ხელფეხში ბორკილებ გაყრილს და ყელზე თოკ მობმულნი, ერთი ერთმანეთზე გადაბმულებს. აქ მოსვლისას მათ ადა-

მიანის ფერი აღარ ჰქონდათ, ტანთ არ ეცვათ და ფეხზ. ქართველებს დიდად ებრალებოდათ ესენი და მათს სანახავად მოდიოდნენ. მათ უმეტეს შაშინ, როდესაც გაიგეს რომ ესენი დასჯილი პოლონელი პროფესორები არიანო, უველა სცდილობდა შინ მიეპატიუნა და რითმე პატივი ეცა, როგორც განათლებულ დასჯილ ერის შვილებისათვის. ესენიც სიამოვნებით დადიოდენ ქართველთა ოჯახებში, მათს პატიქს მადლობით იღებდნენ, უველაზემ კარგად პოლონელ პროფესორებს იცნობდა სოლომონ დოდაშვილი, სოლომონ დოდაშვილი მუდამ დღე ამ პროფესორებთან გახლდათ და საუბრებს მართავდა სხვა და სხვა კითხვების შესახებ.

რომ გაერგოთ, თუ როგორ მოხდა, რომ სოლომონს ასეთი ნდობით და პატივით ეპყრდბოდნენ დასჯილი ერის შვილნი, უნდა გავეცნოთ ამ დიდი ადამიანის ბიოგრაფიას. ეს გახლდათ განათლებული კაცი, მან პეტროგრადის უნივერსიტეტი გაათავა 1827 წ. უნივერსიტეტში მას საგნათ ფილოსოფია ჰქონდა აღებული, ამიტომაც გათავების დროს, დისერტაციათ ლოლიკის სახელმძღვანელოც დასტაბბა. ასე თუ ისე, 1830 წლებში, საქართველოში სოლომონ დოდაშვილი იყო ერთი უგანათლებულესი ქართველთაგანი. ვინც უფრო წინად ჩამოვიდა თბილისში. ს. დოდაშვილი მოვიდა 1827 წ. ამ დროს, ვგონებთ, პოლონეთის პროფესორები თბილისში არ უნდათ ყოფილიყვნენ. პოლონელ პროფესორთა მოსვლას ჩვენ 1831 წ. ვაწერთ, ვინაიდგან სოლ. დოდაშვილი 1832 წ. იგი გადასახლებულ იქმნა რუსეთში.

მისი გადასახლების შემდეგ პოლონელებს კარგი დღე აღარ გაუთენდათ, ვინაიდნ ქართველებს ნებას აღარ აძლევდნენ ერთად შეკრებისას და მათს პატივსაც მოელო ბოლო.

სოლ. დოდაშვილის სამწუხაროდ, საქართველოში, მას არ გაუმართლდა თავის იმედები, ქართველი ერი მას აქ დახვდა არამც თუ XVIII საუკ. განათლებასთან წინ წასული, არამედ დაცემული, დავარდნილი, ქართველთა ცხოვრებაც წამხდარი და გაფუჭებული. იმ რა ნახა აქ ს. დოდაშვილმა.

ქართველებისაგან საღათას ძილი და ძილი, ქართველს უგონდებოდა მარტოდ ქეიფი, დროს გატარება და ამაში ყოველი დროს დაკარგვა. ქართველი ისე იყო წამხდარი, რომ

მათ თვინიერი დალიესი, არშიყობის და ბედრანგი ცხოვრების სხვა არაფერი აგონდებოდათ.

ქართველნი ისე დაეცნენ, ისე დავარდნენ, რომ XVIII საუკუნის მეცნიერებათა მიმდევრობის ნაცელად, XIX საუკუნებში საქმეთ გახდა კრივი, ჭიდაობა, ყომარბაზობა და ლოთობა, ამას რესის მდავრობაც ჩასაკვირველია ხელს უწყობდა.

ყველა ამ საძრახავ საქმეთათვის იყო საჭირო ფული, ფული კი ქართველს არ აქვნდა, მას აქვნდა თბილისში უძრავი მამულები, ამ მამულებს დაუწყეს გასყიდვა ოხერ ფასად და ჰყიდდენ იმ ჩარჩებზედ, ვისგანაც იგინივე ყიდულობდენ სხვა და სხვა სანოვაგეს და ამაში თავიანთ მამაპულს ქონებასად აპნევდენ.

1820 წლებში, ქართველი ერის ოჯახის დაქცევა დიდათ წავიდა წინ, ვერაც ცხოვრებას ადგა თვით იმ დროის ქართველთ მოზარდი თავობაც. ყველა ახალგაზღადა მაშინ იმას სცდილობთა, რომ იგი კაი ღვინის მსმელი გამოსულიყო და კარგი მოქეთფე მამხდარიყოს. ამაზედ ამბობს პოეტი გრიგორ მარბელ ანი, რომ — „ლხინის პაპა, სახით არაბისტნელი, მის შეკლაში ვინ არა ხართ ნამყოფი“. ო და სხვაც ასეთნი. მაშინ იქცმოდა და იდიდებოდა ის ქართველი ახალგაზღადა, ვინც სუფრაზედ კაი თამაღობა, ტოლუმბაშობა იცოდა, ვინც ბევრს დალევდა.

ასე გათახსირდა უპატრონო ქართველი ერი და ს. დოდა-შვილმაც, თავის სამშობლოში, ასეთ გათახსირებულ გზაზედ მყოფი ნახა მთელი ქარსელობა, იგი ამ გარემოებას მეკურად დაეჯახა, დაიწეო მის წინააღმდეგ ცდა და მალე შეადგინა თბილისში კარგი „ამხანაგობა“ ანუ გუნდი, იმ დროის თბილისის სასწავლებლების მოწაფეების. ამ რიცხვში შედიან იმ დროის „კეთილშობილთა სკოლის“ მოწაფენი, სადაც სწავლობდა ნ. ბარათაშვილიც, სასულიერო სემინარიის მოწაფენი და ასევე სხვანიც, ეს მოხდა 1829 წ. ამ „ამხანაგთა“ წრეში მოჰყენა ნ. ბარათაშვილიც.

ს. დოდა-შვილი კრებებს მართავდა ხან თავის სახლში, გოლოვნის პროსპექტზედ, საღაც დღეს არტისტიული თეატრია. იქვე შეკნია სტამბა და რედაქციაც. იგი ყოველს კრებაზედ ამხანაგებს მიმართავდა სიტყვით და ამ სიტყვით ავალებდა მათ შემდეგ საგნებს:

”ქართველები, გაახილეთ თვალები, ქართველები, ნუ გძინავთ, ნუ ლოთობთ, მამულებს ნუ ფლანგავთ, იზრუნეთ მომავლის ცხოვრებისათვის, თორემ მომავალში ჩვენ ყველანი გასაკიცხნი გავხდებით და ჩვენი შთამომავლობა არ გვაპატივებს, კიცხვით მოგვიხსენებენ, ვიზრუნოთ საქართველოს შესახებ, თორემ დავიღუბებით, დავიქცევით და დავნელდებით, ქართველები, მოდით გონს, ახალგაზდებო, გაახილეთ თვალები და დაანებეთ არშიყულ ლექსების და ბაიათების წერას თავი, ლექსები სწერეთ საქართველოს შესახებ, ქართველი ქრისტანულზედ, რომ ქართველმა ოდესმე კიდევ დაიბრუნოს დანაკარგი“

აი ასეთის კილოიანის სიტყვებით იხსნებოდა კრებები და ასეთისავე სიტყვებით თავდებოდა. კრებებში წევრებად ირიცხებოდენ სხვათა შორის იმ დროს კარგად ცნობილი ოჯახის შვილი თავ. ალექსანდრე ჩიქოვანი (ქართველი კათოლიკე), პოეტი ვახ. ორბელიანი, პოეტი გრიგოლ ორბელიანი, პოეტი ნ. ბარათაშვილი, ლუკ. ისარლოვი, თაზიშვილი, რაზმაძე, ალ. ორბელიანი, ბერი ფილადელფოს კინაძე, იმ დროის მოწაფე სემენარიისა ტარასი მესხიევი, სოფრომ მესხიევი და ბევრნიც სხვანი, შემდეგ წლებში ესენი შერეულ იყვნენ ს. დოდაშვილის წრებში მომქედალ პირებად და ამიტომ დაპატიმრებულ იქმნენ 1832 წ. და მეტე რუსეთის გუბერნიიებში დაფანტულ. ამ სასჯელის გარემოებას არავითარი კავშირი არა აქვს იმ ამხანაგურს წრებთან, სადაც საუბარი იმართებოდა ქართველი ერის თვალის გახელასა და განვითარებაზედ.

”ამხანაგური წრე“ არსებობდა ქართველების გასაფეხზებლად, ქართველ ერში კარგი წესების შესატანად, ქართული მწერლობის ასაღირდინებლად და მწერლობაში კარგი იდეის შესატანად, ქართველთ მამულის შეიღლობის გასაჩაღებლად და სხვაც მევრი ასეთნი, რასაც ბევრი პატივის მცემელნი ჰყავნდა და ბევრი ნატრობდა ამას. ს. დოდაშვილის ცდა ამის შესახებ ამაოდ არა რჩებოდა, მისი სიტყვები დიდ გავლენას ახდენდა ყველაზე. ერთი წლის განმავლობაში მისმა ქადაგებამ ფეხი აიღვა და თბილისში მრავალ ქართველთ გაანებს თავი ბედრანგ ცხოვრებას. ნელნელ მოისპონ მათში აზიური, ანუ სპარსული კილოთი ბაიათების წერა და მღერა, მის მაგიერ გაცხოველდა საქართველოზედ დუმილი, ფიქრები.

ასეთი იყო დევიზი სოლომონ დოდაშვილის პირველი „ამხანაგობის“ წევრების.

მეორე ამხანაგობა კი, რომელიც აგრეთვე დაარსებულ იქნა ს. დოდაშვილისაგან, სადაც იმ დროის ქართველ მოწაფეთა რიცხვის ძლიერ ცოტანი ერივნენ და ამ წრის წევრი იყვნენ უფრო მოწიფულნი და ცხოვრებაში გამოსულნი. ამ წრის ცნება იყო: საქართველოს განთავისუფლება. ამ მცნების აღორძინებას თვით იმ დროის ქართველთ მღვდლები და ბერებიც მისდევდნ. ასეთნი იყვნენ ბერი კიკნაძე, ტარასი მესხიევი, შემდეგ არქიმანდრიტი და სოფრომ მღვდელი, შემდეგ ანუ 1850 წელში ქართული ენის ცენზორი, ბევრიც სხვა მღვდლელნი და ბერები.

ამ ამგებს დიდი ისტორია აქვს, ჩვენ ამასთან საქმე არა გვაქვს. აქ საკითხი არის მარტოდ ის გარემოება, თუ ნ. ბარათაშვილში საიდან გაიფურჩქვნა ის იდეია და ის მოქალაქური აზრები, რითაც კი მერე მისი დიდებული პოლიი გაბრწყინდა ქართველთ შორის და რასაც გამოუჩნდა ბევრი პატივისმცემელნიც. პოეტის ცხოვრებაში, უსათუოდ მეტად დიდი გავლენა აქვნდა ს. დოდაშვილის სიტყვებს, ნამეტურ ამისაგანვე დაწყობილ ქართული გაზეთის გამოცების საქმეებს ბას 1829 წ. ამ გაზეთებითვე უჩვენა ს. დოდაშვილმა იმ დროის ახალგაზრდა ქართველებს წერის მაგალითი.

პირველ ნომრებიდანვე იბეჭდებოდა პოემა: — „ხმა ივერთა მამულის შვილობის გამოხმობისაზეის“ დიდის გ. ერისთავისა და ასევე სხვა ასეთი ლექსები, სადაც მიმართული მოწოდება ქართველთ ახალგაზდების წინაშე, რომ აბა გამოდით, გამოსჩნდით და არშიყობის შავიერ საქართველოზედ და საქართველოს სიყვარულზედ სწერეთ ლექსებიო. როგორც მიამბო ლუკა ისარლოვმა, ნ. ბარათაშვილის ნამხანაგარმა და გრიგორიევმაც, ნ. ბარათაშვილის უფროსმა, როგორც ზემოთაც მოვიხსენეთ, პოლონელი პროფესორები განუწყვეტლივ ქართველთ ოჯახებში დაიარებოდნენ და იგინი ქართველებს დიდათ პატივს სცემდენ.

ნ. ბარათაშვილის ამხანაგთაგანმა ლ. ისარლოვმა და გრიგორიევმა, რომელთანაც ნ. ბარათაშვილი მსახურებდა, კიდე მიამბეს შემდეგი:

პოლონელი პროფესორები ქართველებში ერთ-თავად ქართველობაზედ ლაპარაკობდნენ, ანუ ს. ქართველოს შესა-

ხებ. ამ პროფესორებთან ნ. ბარათაშვილიც ხშირად დადიოდა, პროფესორებმა მალე ქართული ენაც შეისწავლეს. იგი ნი ქართველთ ოჯახებში ქართულად ლაპარაკობდენ თურმე ქართულად აფხიზლებდენ ყველას, ნ. ბარათაშვილზედ ერთობ დიდი გავლენა ჰქონდა როგორც ამ პროფესორებს, ისევე ს. დოდაშვილის პროპაგანდას. იმის საფუძვლად, როგორველივე ეს მართალია ნ. ბარათაშვილის შესახებ, ამასვე ასაბუთებს შემდეგი გარემოება:

ნიკ ბარათაშვილის შამა იყო დიდი მამულების პატრონი თბილისში. როგორც ვიცით, მის ოჯახში მუდამ დღე ლხინი იყო და შემდეგ, ამ წვეულების ხარჯების გამო მთელი ქონებაც წაუვიდა ხელიდან და ეს დიდი ოჯახი ბარათანთ გაარისა გახდა მსხვერპლი ქეიფების, ლოთობის. უკველია, ნ. ბარათაშვილიც აღიზრდებოდა ისევე და რმ მიმართულებით, რაც მის შამას და ნათესავებს ენატრებოდათ, მაგრამ არა, ამათ პურმარილის ძალამ და პოლონელ პროფესორებმა და ს. დოდაშვილმა ნ. ბარათაშვილს ცხოვრებაში სხვა მცნება მისცეს საღალადებლად და შემდეგ იგი ამ მცნებას თავის პოეზითაც სუფთათ და შეაცრაო რცავდა.

85 წ. მოხუცებულმა ქართველ მწიგნობარმა გრიგორევმა მიამბო:

ნიკ. ბარათაშვილი ხაზინაში ჩემს პისმოვადიტელათ იყო. იგი ნიჭიერი კაცი იყო, ხშირათ დაირებოდა იგი სოლომონ დოდაშვითან და პოლონელ პროფესორებთან, პოლონელი პროფესორები ქართველს ოჯახებში დადიოდნენ ქეიფობდენ კიდეც და კარგს საგნებზედაც იცოდნენ ლაპარაკიც ნ. ბარათაშვილი ისეთი ყოჩალი მელექსე იყო, რომ მის დროს მას ვერავინ შეადრებოდი ალ. ჭავჭავაძის მეტი. ნიკ. ბარათაშვილის დიდი ამბანაგი იყო თულადელფოს კიკნაძეც. განა არა ნიკ. ბარათაშვილს თავის მამაცი ხშირათ ეტყობდა ხოლმე, რომ სოლ. დოდაშვილს და კიკნაძე ბერს თავი განებე, თორებ შენ გაითოვებიო.

მართლაც გამართლდა ეს სიტყვა 1832 წ. ბარათაშვილიც გაჩხრიკეს, ვერაფერი უპოვნეს, მას ეს ამბავი წინეთ შეეტყო და თავის ლექსების ფიქრიც აქვნდა, რუსის მთავრობის, სულ დაეწო. ნ. ბარათაშვილი ცოტა ხანს იჯდა, თურ კვირა, მერე გაანთავისუფლეს. ნ. ბარათაშვილმა თავის მეგობრობა პოლონელ პროფესორებთან ამის შემდეგ მოსპო.

მათ მეგობრობას ნ. ბარათაშვილი დიდათ აფასებდა, მეტ პატივს სცემდა ნ. ბარათაშვილი, რადგანც იგი კი ლექსებს სწერდა.

იმ დროს, როცა „ფარული საზოგადოება“ დაარსდა თფილისში, ამის დამარსებელნი დიდათ შრომობდენ და მოქმედებდენ, რომ რაც შეიძლება მეტი წევრები შეძინათ, რაც მეტა, ანუ დანიშნულ დღეს, როცა ამბოხება დაიწყობოდა, მაშინ მათ რუსის მთავრობისათვის მძლავრი მეტი უცბათ უნდა დატერტყათ, რომ იგი უსათუოთ უნდა დაცემულიყოს და ამ დაცემულზედ საქართველოს მთავრობა უნდა აღმოცენებულიყოს.

„ფარული საზოგადოების“ წევრთ და დამარსებელთ უმცა ასეთი ფართო ნატვრა აქვნდათ, რომ ამ საზოგადოების წევრნი რაც შეიძლებოდა გაპრავლებულიყოს და გაძლიერებულიყოს, მიუხედავათ ასეთის ნატვრის, იგინი ერთობ ფრთხილნი იყვნენ და „ფარულ საზოგადოებაში“ წევრებათ აღვილათ ვერავის იყვანიენ, რადგანაც შიში აქვნდათ, ქართველები სულ გადავარებელნი იყვნენ, ზოგნი რუსების შიშით, ზოგი შესყიდვით, ზოგიც საჩუქრებით.

ამის მაგალითია კიდევ შემდეგი: 1830 წ. თფილისში არსებობდა ორი საშუალო სასწავლებელი: ერთი სასულიერო სემენარია და მეორეც კეთილ ზომელთ სასწავლებელი, ორივ ამ სკოლებში სულ ქართველთ შვილები სწავლობდენ, ხოლო ორც ერთს ამათგანს „ფარული საზოგადოების“ წევრებათ კი არ იყვანდენ, შიში აქვნდან, რადგანაც შეგირდები სულ გადაგვარებულნი იყვნენ, ყველა მათგანი რუსოფილობდა, ამიტომაც არ იყვანდენ ამათ წევრებათ.

არის მხოლოთ ორი ცნობა, რომ „ფარული საზოგადოების“ წევრი ყოფილა ნიკ. ბარათაშვილი, იმ დროის კეთილშობილთ სკოლის მოწაფე და ერთი ვიღაც კოტიევი ყოფილა წევრათ ამ საზოგადოებისა, კოტიევი სემენარიელი ყოფილა. მოწაფე სემენარიის. ნიკ. ბარათაშვილის შესახებ ცნობა არის დარჩენილი, რომ სოლომონ დოდაშვილს ნიკ. ბარათაშვილი „ფარული საზოგადოების“ წევრათ დიდის პატივის ცესით მიუღიათ. ეს ვგონებთ მიტომ, რადგანაც ნიკ. ბარათაშვილი თავის მხატვრულ ლექსებს სკოლაშივე სწერდა თურმე. გარდა პოეტურის ლიტერატურის და მამულის შვილურის იდეის. ს დოდაშვილი ნიკო ბარათაშვილს სხვა ლიტერატ

ბევრი რამ სცოდნია. თვით ნიკ. ბარათაშვილიც სოლ. დო-
დაშვილის დიდა აფასებდა, ამიტომაც იყო, რომ ნ. ბარა-
თაშვილი სოლ. დოდაშვილთან ყოველს დღის დაიარებოდა,
როგორც სახლში, ისევე „თფლისის უწყების“ რედაქციაში,
სტამბაში და ყელგან, სადაცაც სოლ. დოდაშვილი იქმნე-
ბოდა.

ნიკ. ბარათაშვილმა სოლ. დოდაშვილის გაცნობით
კარგათ გაიცნო „ფარული საზოგადოების“ დაამარსებელნი,
წევრნი და მის პოლვაწერნიც, ნამეტურ ფილადელფის კიქ-
ნაძე, სერაფიონ ლეჩხუმელი და ზოგნიც სხვანი თავდადე-
ბულნი მოღვაწენი. ასეთ პირთა გაცნობამ და სოლ. დოდა-
შვილის ერთობამ ნიკ ბარათაშვილი ძირიან ფესვიანათ შე-
სცვალეს, ნიკ. ბარათაშვილი მაღლ იქცა შეგნებულ მამულის-
შვილათ და ამან თავის ლექსებსაც მაღლ მისცა მამულის შვილური
კილო. მაშინ თურმე ეს პირველი მაგალითი იყო, თუ არ ეს
სოლომონ დოდაშვილი და მისი ქადაგება, უამისოთ ნიკ.
ბარათაშვილის პოეზია უიდეოო, იქმნებოდა ცარიელი ჩონჩ-
ხი—ამიტომაც აი რა სთქვა ერთხელ პოტმა ვატანგ ორ-
ბელიანმა: „ნიკოლოზ ბარათაშვილი გამოიწურინა სოლომონ
დოდაშვილთან და პოლონელ პროფესორებთან შეიგნო
მან მამულის შვილური მიმართულება, თუ სოლ. დოდა-
შვილი არ ყოფილიყოს, მაშინ შეიძლებოდა არც ნიკ. ბარა-
თაშვილი ყოფილიყოს, ნიკ. ბარათაშვილი იყო წმინდა სამ-
თლია, რომელიც საქართველოს სიკარიულით ქართველი
ერის წინაშე იწოდა“.

სადაც ნიკ. ბარათაშვილი სწავლობდა, იქ სწავლობდენ
ქართველი სხვა შვილებიც, ამ ქართველ მოწაფეებში გამე-
ფებული იყო მკვდარი მიმართულება, ყველა ქართველი მო-
წაფე ეტროფოდა მარტო არშიყულ ლექსების და რომანების
წერას და კითხვას, ყველა მოწაფეს მარტო ქალების არში-
ყობა აგონდებოდა, ღვინო, ქეიფი და სიმღერა, სხვა ამის
მეტი მათში არაფერი იყო, როცა სკოლის მოწაფებიც კი
ასე იყვნენ დაშამულები, სხვებზედ აბა რაღა ითქმის.

მაშინდელი სკოლა მარტო ქართველ შვილების გარუ-
სებას უნდებოდა. სხვა ამის მეტს არასუერს, მთავრობის ნა-
ტვრაც ეს იყო, ქართველი ოჯახის გაქრობა, მოსპიბა და მერე
ეს საიდამ დაიწყობდა, თუ ამისთვის უპირველესად ქართველი
ახალგაზღობა არ გათასსირდებოდა და არ გაიხრწნებოდა.

ამიტომაც გაავრცელეს არშიული ლექსების და რომანების კითხება, ქალების მოტაცება, ლოთობა, ბოზობა, კარტის და ბილიარდის თამაში. ღრუშებით სიარული, ზურნის და კვერით სიარული და ქეფი და სხვაც ბევრი ასენთი რაშიაც იხსრია-ბოდა მაშინდელი ახალი თავობა, ასეთ მოზარდ თავობის გარდა მთელი ქართველი ერიც ამ სენში ჩავხრიალი იყო.

თუმცა ნიკ. ბარათა შეიღლიც პირველათ ესეთს ცნობილს დასალუპს გზაზედ მდგარა, ხოლო მერე იგი ამას ასცდენია სოლომ. ლოდა შეიღლის ქადაგებით, ამ გარემოების შესახებ მოხუცმა გრიგორევმა აი რა სოჭვა:

ნიკ. ბარათაშვილი და მე ერთათ ვსახურობდით, იგი
კაი ქართველი, ნიჭიერი კაცი იყო და მის ამ ნი-
კიერებისათვის დიდათ ახალისებდა სოლომონ დოდაშვი-
ლი და პოლონელი პროფესორები, რომლებთანაც სოლ-
დოდაშვილი ხშირათაც დაიარებოდა. ეს მათგან ისმენდა
ბევრს ლექციებს და ყველა მათ იხსომებდა კიდევ თავისითვის.
მაინც 1830 წ, ქართველთ ცხოვრებებში შესანიშნავი ხან-
არის და საყურადღებო ის რითა:

1830 წ. ფილადელფიოს კინაძემ სოლ. დოდაშვილის
სტამბაში საქართველოს განთავისუფლების პროცესაცია
დაბეჭდა რაც პირველი მაგალითი იყო საქართვ-ლოში, ასეთ
პროცესაცია მიმდებზედ მიმდებილი იყო შემდეგი ლექსი ფილადელ-
ფიოს კინაძესი, რომელიც საყურადღებოა, ხოლო ჩვენ ამის ქარ-
თული დედანი ვერ ვიპოვნეთ, იგი რუსულათ უთარგმნით
საქმის გარჩევის დროსთვის, ეს მოთავსებულია „კავკასიის
აქტებში“ აქტებში არის ეს ლექსი რუსულიდამ ნათარგმნი
ქართულს ენაზედ, იმ ესეც ეს ლექსი:

„მაისში იქმნება მოწვევა:

ქართველთა ძალის გამოწხატველის ..

ავილოთ ხელში მახვილი,

დავკეთ მტერს შიშის ზარი,

ତାଙ୍କୁ ଲାଗେ ଏହାର ପାଇଁ ମେଳାଇଲାଗିଲାକି,

გავლენოთ ძალით მოსულნი.

სამშობლოს გაოხრებელნი...

ქართველებო, ხართლა სამშე?!

აღ ვინ იცის, — გონს მოდით” ...

ასეთი შინარსის ლექსებს და პლ

ფილადელფილოს კინაძე, სოლომონ დოდაშვილი და სხვანიც,

ყველა ესეთი ფურცლები ქართველებში იფინებოდა დიდათ და
თვით ქართველნიც ეჩვენადენ ამ კიბრითი ლაპარაკს და წერას,
ასეთი კილოთი მსჯელობას.

ასეთნი იყვნენ სოლ. დოდაშვილის გავლენის ქვეშ შე-
სულნი პოეტი ვახტანგ ოჩბერიანი, რომლის პოეზიაც და
იმის იდეიაც ნაყოფია სოლ. დოდაშვილის.

პოეტი გრიგოლ ოჩბერიანი, გოორგი ერისთავი, ალე-
ქსანდრე არბერიანი და რამდენიმეც სხვანი, რომელნიც რუ-
სის მთავრობამ დამნაშავეთ იცნა და რუსეთის გუბერნიებშიც
დაფანტა. ესენი მართოლია საქართველოშ დაფანტა, მაგრამ
ამათში სოლ. დოდაშვილისაგრძ დანერგილი იდეია კი არ გა-
ქა და მან მათში კარგი მომავალი მიიღო და ოლორძინდა.

ნიკ. ბარათაშვილი არ მოჰყვა ასეთ დამნაშავებში და
რათა და ორგორ: ნაამბობი ბიკო ბარათაშვილის ამხანაგის
გენერალის გრიგოლ გუბერნის მიერ.

ნიკ. ბარათაშვილი და მე ერთ სკოლის სკამზედ ვიჯე-
ქით, ნიკ. ბარათაშვილმა წინეთ შეიტყო რომ შენ გაგჩხოე-
კენო. მას ბერი ლექსიები აქნდა რუსის მთავრობის წინაღ-
მდეგ ნაწერი, იგი მალე წავიდა სახლში, მეც თან წამა-
კვანა, ყველა ეს ნაწერები ბუხარში შეყარა და ცეცხლის
მისცა. ის იყო ეს დაიწო და გამჩხოეავნიც მოვიდნენ. სას-
ტიკათ გაჩხარიეს ყველასუფერი, მერე ნიკ. ბარათაშვილს სხვა
და სხვა ლექსიებს უჩვენებდენ და ჰკითხავდენ, რომ ეს ლექ-
სი - შენი დაწერილიაო? ნიკ. ბარათაშვილი ყველაფერზე
უარს ეუბნებოდა.

ჩხრეკა გათავდა და ნიკ. ბარათაშვილს უთხრეს, რომ
შენ დაპატიმრებული ხარ, როგორც სოლ. დოდაშვილის მე-
გობარიო. ნიკ. ბარათაშვილმა მიუგო, მე სოლ. დოდაშვი-
ლის მეგობარი კი არ ვარ, არამედ მე ვიყავ მასი მოწაფე
და მე მაკითხებდა. რუსულ სახელმძღვანელო წიგნებსაო ამას,
სხვებიც დაასაბუთებდნენ.

მალე წავიდენ და ნიკ. ბარათაშვილიც თან წაიგუმარება
ამის შესახებ სკოლებშიაც იყო გამოკითხვა, რომ კვერის
შემდეგ ნიკ. ბარათაშვილი გაათვისუფლეს, ასე და ამ გვა-
რთ, ნიკ. ბარათაშვილი გადარჩა და მომავალში მის ახორ-
ბის იდეაც აღორძინდა საქართველოში ქართულის მამულის-
შველობით.

